ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ებ ა

ბრძანება:**ბ74. 74241365**

თარიღი:**15/05/2024**

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით, ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54- ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ა“ და „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, 118-ე მუხლის პირველი ნაწილის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დაგენილებისა და ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის Nგ-75.7524117001 განკარგულების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით, დანართი N1-ს შესაბამისად.
2. ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურმა, უზრუნველყოს ელექტრონული აუქციონის გამოცხადება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა N11) ბრძანების გამოქვეყნებიდან ან მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე ან გამოქვეყნების დღეს.

დავით ჩერქეზიშვილი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი